სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის No335/01-01 ბრძანების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის No2/24 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი **13.02.2024**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია (კომისიის მდივანი), პროფესორი იოსებ სალუქვაძე (კომისიის წევრი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ მაისაია (კომისიის წევრი)

დღის წესრიგი:

1. კონკურსის შედეგების შეჯამება (გასაუბრების და კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამატკიცებლად გადაცემა;

მოისმინეს: საკონკურსი კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრების, ლექციის და კენჭისყრის) შედეგები.

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორის ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი სალომე დუნდუა. კანდიდატის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწესრიგებული იყო. გასაუბრებაზე კანდიდატმა ისაუბრა კონცეფციაზე, ჩაატარა ლექცია და უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებს.

ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის ასარჩევად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. მასში მონაწილეობდა კომისიის ხუთი წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

სალომე დუნდუა - მომხრე 5 ხმა

მიღებული დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგების საფუძველზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით გამარჯვებულად გამოვლინდა სალომე დუნდუა.

კომისიის წევრთა აზრით, გამარჯვებულმა კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი კვლევითი აქტივობა. მას აქვს მაღალი ციტირების ინდექსი (Google Scholar citation: 54, h-index: 4) ასევე, მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები, რომელშიც აღებული აქვს რექტორის ჯილდო. ასევე მაღალია ს. დუნდუას საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხი უცხოეთის უნივერსიტეტებთან.

შესაბამისად, კომისიის აზრით, სალომე დუნდუას როგორც არსებული, ისე სამომავლო პერსპექტივით აქვს რესურსი როგორც მეთოდური, ისე კვლევითი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

- კონკურსის შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა სალომე დუნდუა.
- შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

1. პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე)

2. ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

3. ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია (კომისიის მდივანი)

4. პროფესორი იოსებ სალუქვაძე (კომისიის წევრი)

5. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ მაისაია (კომისიის წევრი)